1929

№ 17. წელიწადი პირველი ფასი ყველგან 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

კარლ მარქსის სახ. საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი



ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება

სტალინის სახ. ქარხნის მუშა-ქალი დაზგაზე

# იმპერიალისტ-კოლონისტების ბატონობა



ძველად ბატონები თავის ყმებს კევრში და ურემში აბამდნენ და ისე ამუშავებდნენ, დღეს კაპიტალისტი ბატონები დაპყრობილ ქვეყნებში გლეხებს უარეს დღეში ამყოფებენ



ამხ. ვერნერ ხარშ
„როტე ფანეს“ რედაქტორი, რომელიც ამიერკავკასიაში მოგზაურობს



ინგლისელი იმპერიალისტები ახალ ომისათვის ემზადებიან. სურათზე ნაჩვენებია ლონდონის მახლობლად გამართული მანევრი



1 აგვისტოს, საერთაშორისო წითელ დღის დემონსტრაციაზე შეპყრობილი მუშა დემონსტრანტი



**გერმანიის ახალი** ჯავშნოსანი „ერზატც პრეისე რომლის მოწყობილობა განცვიფრებას იწვევს სამხედრო სპეციალისტებში. ჯავშნოსნის შეიარაღება შესდგება ექვს 264 მილიმეტრიან და რვა 141,5 მილიმეტრიან ზარბაზანიდან, ოთხ აეროპლანების საწინააღმდეგო ზარბაზნიდან და ექვს ნაღმის სასროლ აპარატიდან. „ერზატც პრეისენ“-ის მიერ ერთდროულად გასროლილი ყუმბარების წონა უდრის 1800 კილოგრამს, შესაფერი სიდიდის ამერიკულ და ინგლისურ კრეისერებისა კი—900—1150 კილოგრამს.



ამერიკაში ეხლახან გამოუშვეს მეტად საინტერესო ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა საცხოვრებელ ბინების ჰაერის გაწმენდისას, თუნდაც ფანჯრები მთელი დღე ღამის განმავლობაში დახურული იყოს. როგორც სურათიდან სჩანს ამ ხელსაწყოს აქვს ღამის მაგიდის სახე, რომელიც მილის საშუალებით შეერთებულია ღუმელის მილთან. შიგ მოთავსებული ვენტილიატორის საშუალებით გარედან სუფთა ჰაერი შედის ამ ხელსაწყოში, საიდანაც იგი გამოდის ოთახში სადეზინფექციო სითხით გაჟღენთილ ქსოვილებში, რომელზედაც რჩება ყოველგვარი ორგანიული და მინერალური ნაწილაკები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 17. 1929 წ. 19 სექტემბერი

# დროშა

# „ბანდე მატარრამ“-იდან „ინტერნაციონალამდე“



**ბომბეელი გაფიცული მუშების რევოლიუციონური კომიტეტი.**

ინგლისელი იმპერიალისტები ინდოეთს „ბრიტანეთის გვირგვინის მარგალიტს“ უწოდებენ და სავსებით სამართლიანად. არც ერთი კოლონია ასე იაფი (თითქმის არაფერი) არ უჯდება ინგლისს და არც ერთი კოლონია იმდენ სარგებელს არ აძლევს მას, როგორც ინდოეთი. ინდოეთი მთლიანად ფარავს კოლონიალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინახავს ინგლისის მოხელეთა ხროვას, რომელიც გაცილებით მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე ინდუს მოხელეთა ათჯერ მეტი რაოდენობა, თავის ზურგზე გადააქვს აუარებელი სამხედრო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისის უდიდესი არმიის შენახვასთან ინდოეთში *) და გარდა ამისა, საკმაოდ დიდ ხარკს იხდის მეტროპოლიის სასარგებლოდ.

ბუნებრივია, რომ ამ კოლონიალური ყვლეფისა და ნაციონალური ჩაგვრის ნიადაგზე ინდოეთში წარმოიშვა მძლავრი ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც პირველ ხანებში სათავეში ედგა ინდოეთის მცირერიცხოვანი ინტელიგენცია, გამსჭვალული იმ იდეიით, რომ „ინდოეთს ეკისრება, რაღაც განსაკუთრებული მისია მსოფლიოში“. ეს ინტელიგენცია უარჰყოფდა ევროპიულ ცივილიზაციას, უარჰყოფდა ინდოეთის კაპიტალისტურ განვითარებას და ინდოეთის ხსნას ხედავდა ძველ, მამაპაპურ სართველ იარაღში და ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლების საშუალებად მიაჩნდა „პასიური წინააღმდეგობა“—მონაწილეობის არ მიღება მართვა-გამგეობის საქმეში, ინგლისურ დაწესებულებების და საქონელის ბოიკოტი.

ინდოეთი თუმცა ნელა, მაგრამ მაინც დგებოდა კაპიტალისტური განვითარების გზაზე მეოცნებე ინტელიგენტების წინასწარმეტყველების მიუხედავათ. ინდუს ინტელიგენტ ნაროდნიკებს ისევე დასცინა ისტორიამ, როგორც რუს ნაროდნიკებს წარსულ საუკუნეში.

კაპიტალისტურმა განვითარებამ ახალი შინაარსი მისცა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რომელიმე ბომბეელი ან სხვა კუთხის მრეწველი ინდოეთის განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისაგან მოითხოვდა არა რაღაც ბუნდოვანი „დიადი სულის“ გამარჯვების გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ მანჩესტერის საფეიქრო ნაწარმოები გასაქანს არ აძლევდა მისი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციას *). მამა-

*) ამ ხარჯების სიდიდეს ცხადყოფს შემდეგი ციფრები: 1927-28 წ. ინდოეთმა გაიღო: ვალების დასაფარავად—15,7 მილ. რუპია (რუპია 95 კაპ.), „თავდაცვისათვის“—56,7 მილ. რუპია და სხვა საჭიროებისათვის—52,8 მილ. რუპია (Бюлетень Инст. Мир. хоз. и Мир. политики № 7, 1928 წ.).

*) ინგლისის მთავრობამ, იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებია ინდოეთი, როგორც თავისი პროდუქციის გასასაღებელი ბაზარი, მაღალი აქციზი შემოიღო ინდოეთის ნაციონალური მრეწველობის პროდუქციაზე, რომ ამ გზით გაეძნელებია უკანასკნელისათვის ინდოეთის შინაური ბაზრის დაპყრობა.

პაპური სართავი იარაღი დავიწყებულ იქნა, დავიწყებულ იქნა აგრეთვე ბოიკოტის ტაქტიკა. ინდოეთის ბურჟუაზია შეეცადა თავისი ინტერესების მიხედვით გამოეყენებია უფლებათა ის ნამცეცები, რომლებიც ინგლისის იმპერიალიზმმა მისთვის გამოიმეტა ან ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენით „მიანიჭა“ ინდოეთს.

კაპიტალისტურმა განვითარებამ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიყვანა მუშათა კლასიც, რომელიც სწრაფად იზრდებოდა რიცხვობრივად და თვისობრივადაც. პირველ ხანებში ინდუსი მუშა სიმღერით „ბანდე მატარრამ“*) ბურჟუაზიის ბანაკში იბრძოდა ინდოეთის ნაციონალური განთავისუფლებისათვის. მაგრამ კლასობრივი შეგნების ზრდამ დაანახვა მას, რომ მისი და ბურჟუაზიის გზა სულ სხვადასხვაა. უზომო ეკონომიურმა ექსპლოატაციამ გამოიწვია 1919-21 წლის გრანდიოზული გაფიცვები, რომლის დროს ინდოეთის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს მნიშვნელოვან კლასობრივ ძალას. ამ დიდმა კლასობრივმა ბრძოლებმა დააფრთხო ინდოეთის ბურჟუაზია. მან გამოღვიძებულ მუშათა კლასში დაინახა გაცილებით საშიში მტერი, ვიდრე ინგლისის იმპერიალიზმი და რევოლიუციონური მოძრაობის შიშით შეეცადა საერთო ენა გამოენახა ინდოეთის ბატონებთან. მან ხელი აიღო ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე და თანხმდება—ინდოეთს მიანიჭოს ახალშენის უფლებები, სამაგიეროთ, ენერგიით, რომელიც ინდოეთის ბურჟუაზიას არასდროს არ გამოუჩენია ინგლისის იმპერიალიზმთან ბრძოლაში, იგი ახლა ებრძვის მუშებისა და გლეხების რევოლიუციონურ მოძრაობას და თანახმაა დიქტატორული უფლებებით აღჭურვოს მთავრობა „წითელ საფრთხესთან“ საბრძოლველად.

ეს საფრთხე მით უფრო რეალური და ძლიერი ხდება, რამდენადაც ინდოეთის პროლეტარიატი თავისუფლდება წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან და ხდება დამოუკიდებელი რევოლიუციონური ფაქტორი. ეს პროცესი მუშათა კლასის განთავისუფლებისა ნაციონალისტური ბურჟუაზიის ზეგავლენისგან ჯერ მთლიანად დასრულებული არ არის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ინდოეთის პროლეტარიატი ყოველდღე ამტკიცებს, რომ იგი წარმოადგენს დიდ რევოლიუციონურ ძალას, რომლის მხედველობაში მიღება უხდება ინგლისის იმპერიალიზმს.

ვინც თვალყურს ადევნებს გაზეთებს, იგი დაინახავდა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინდოეთი წარმოადგენს გრანდიოზული კლასობრივი ბრძოლების ასპარეზს. (საკმაოა გავიხსენოთ ბომბეისა და კალკუტის ფეიქრების გაფიცვა, რომელიც რამდენიმე თვეა გრძელდება), მუშათა მასები თანდათანობით თავისუფლდებიან არა მარტო ბურჟუაზიის გავლენისგან, არამედ რეფორმისტ ლიდერების გავლენისგან. მოძრაობის ხელმძღვანელობა გადადის მემარცხენე ელემენტების ხელში, მნიშვნელოვნად იზრდება კომუნისტების გავლენა. პარალელურად ძლიერდება რეპრესიები რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, ინგლისის იმპერიალიზმისა და ინდოეთის ბურჟუაზიის გაერთიანებული ფრონტი საშინელის სიმკაცრით ესხმის თავს მუშათა მოძრაობას, მაგრამ უკანასკნელი უკან არ იხევს. კლასობრივ ბრძოლებში კაჟდება იგი, წითელი დროშითა და „ბანდე მატარრამ“-ის ნაცვლად „ინტერნაციონალის“ სიმღერით კლასობრივ განთავისუფლებასთან ერთად ინგლისის იმპერიალიზმის უღლისგან განთავისუფლებისათვის ემზადება.

თუ გუშინდელი მტრები—ინგლისის იმპერიალიზმი და ინდოეთის ბურჟუაზია ერთმანეთს შეუთანხმდნენ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის შიშით, მოკავშირეები გახდნენ, მუშათა კლასსაც უჩნდება მოკავშირე,—ესაა—ინდოეთის მშრომელი გლეხობა, გაძვალტყავებული, დამშეული გლეხობა, რომელიც სულს ლაფავს მემამულეების და კულაკების უღელქვეშ, რომელსაც თავის ზურგზე გადააქვს ინგლისის უდიდესი არმიის შესანახი ხარჯები ინდოეთში. ეს გლეხობა ილვიძებს, იგი ჯერ გაუბედავათ, მაგრამ მაინც ებმება ბრძოლაში და თავის ერთადერთ მოკავშირეს ამ ბრძოლაში ბუნებრივად ხედავს მუშათა კლასში.

ასე იქმნება ინდოეთის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დიადი რევოლიუციონური კავშირი, რომელიც ბოლოს მოუღებს არა მარტო ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას ინდოეთში, არამედ კაპიტალისტ - მემამულეთა ბატონობასაც.

ინგლისის კოლონიალური ბატონობის აღსასრული ინდოეთში იწყება.

შორს არ არის ის დღე, როცა ინდოეთის მარგალიტი გამოეცლება „ბრიტანეთის გვირგვინს“.

ვ. რ—ძე

*) „დედა სამშობლო“—ინდოეთის ნაციონალური ჰიმნი.



პიონერები ქალაქ-გარედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაქო იზრდება

## ილიჩის ბუხტა

ბაქოს ჩვეულებრივი ქარი გამვლელს თვალებში მტვერს აყრის. ვერსად დაემალები მას. ასეთი ქარი ბაქოში მთელი კვირეები გრძელდება.

გავიარე მაღალ არკის ქვეშ, რომელზედაც მსხვილი ასოებით სწერია ორი სიტყვა „ბიბიეიბათი“. ყველგან, სადაც კი თვალი სწვდება, ნავთის კოშკები აღმართულან. რომ მოხვდეთ ილიჩის ბუხტაში, უნდა პაწია მატარებლით იმოგზაუროთ, რომელსაც ჩვენში „კუკუშკას“ უწოდებენ. სადგურთან სდგას თითქმის სათამაშო მატარებელი, ორთქლმავალი და ორი ვაგონი. ჩავჯექი. როგორც ყველგან სამი ზარი, „ობერის“ სტვენა და მატარებელი მოსხლტა ადგილიდან. ორთქლმავალში ამუშავდა ჩვეულებრივი ავტომობილის მოტორი.

მივედით სარეწაოებზე. მე გაკვირვებით ვიხედები. არც ერთი მუშა, არც ერთი ცოცხალი არსება, მხოლოდ შავი „მლოცავები“ დაუღალავად სწოვენ ჟანგიან მიწას. ჩამოვხტი მატარებლიდან. სიარული ძნელია, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ფეხი არ ჩაგრჩეს ცომსავით რბილ მიწაში.

დიდხანს ვიხეტიალე კოშკებს შორის, მაგრამ მაინც ვერვინ ვნახე. უცბად ყური მოვკარი შორეულ ხმაურს. მიუახლოვდი. ერთ-ერთი კოშკი ზანზარებს. შევიხედე შიგ. ოთხი მუშა მიწას ბურღავდა. მაღლა ჰკიდია უშველებელი მბურღავი, რომელიც თანდათან ეფლობა მიწაში.

როდესაც მანქანა გააჩერეს, შევეკითხე ერთ მუშას:

— რა სიღრმეზე ბურღავთ?

— 750 მეტრზე! მომაძახა თითქოს მკვახედ.

მივხვდი, რომ აქ უქმი მუსაიფი არ შეიძლება.

გამოვედი. შორს სადღაც ზღვის ხმაური შემომესმა.

რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და მივადექი კასპიის ნაპირს.

— ილიჩის ბუხტა შორს არის? შევეკითხე ერთ-ერთ მუშას, რომლებიც იქ მუშაობდნენ.

— აი თვით ეს არის! მიპასუხა.

— თქვენ ვინა ხართ?

— მბურღავი ოსტატი.

— აქ მგონია, სადღაც ზღვას აშრობენ, სად არის?

გაიღიმა.

— თქვენ თითონ ეხლა ზღვის ფსკერზე დგეხართ.

გამიკვირდა!

— წინათ აქ ზღვა იყო, მაგრამ შეხეთ სად გავაგდეთ! აგერ იქ, ზემოთ, ეხლაც აშრობენ, შეგიძლიანთ ნახოთ.

— აქ თუ არის მომქმედი კოშკები?



— არის, მაგრამ ნებას არ ვაძლევთ იმასხრონ, როგორც კი ამოხეთქავს, მაშინვე ჩავკეტავთ, დავადგამთ მილებს და მერე იდინოს რამდენიც უნდა—და მიმითითა იქვე ახლოს, სადაც მილებიდან ნავთი გადმოდიოდა. იქაურობა ყავის ფერი ქაფით იყო დაფარული. იქვე ახლოს პაწია ფიცარზე წითელი ასოებით აწერია.

**თამბაქოს მოწევისათვის — დათხოვნა!**

ფრაზა მოკლე, მაგრამ მეტად მჭერმეტყველი.

მივდივარ ზღვის ნაპირას. შორს, ზღვაშიაც აღმართულან კოშკები. მიუახლოვდი, რამდენადაც შეიძლებოდა. კოშკები ბურღვისაგან ზანზარებდნენ.

უშველებელი ზღვის ნაკვეთი ორი მხრიდან შემოფარგლულია ქვის ნაპირით, მხოლოდ ერთ ადგილას დატოვებულია პატარა გასავლელი კატერებისათვის, რომლებიც ბუქსირზე მოათრევენ მიწით სავსე ბარჟებს. მივედი. ნაპირთან სდგას სუფთა ბარჟა. გაუბი ლაპარაკი მეზღვაურებს.

— სამოქალაქო ომის დროს ვიბრძოდით მტრის წინააღმდეგ, ეხლა კი სამეურნეო ფრონტზე ვიბრძვით. თითქმის 70 დესეტინა ზღვა ამოვაშრეთ. თუ ჩვენმა საბურღებმა კარგად იმუშავეს, $3^1/_2$ წლის შემდეგ აქაც ისევე იქნება, როგორც ზევით, ხომ ნახეთ?

ვიკითხე, როგორ აშრობენ.

— ნარგინის ახლოს ქვიშიანი კუნძულია, იქ მიწის მსრუტავები ავსებენ ბარჟებს ზღვის ფსკერიდან ამოღებულ მიწით, რომელსაც შემდეგ აქ ვყრით. ქვებსაც ვიყენებთ. სოფ. შახოვოდან მოგვაქვს. ზოგი ქვა 50—100 ფუთს იწონის. ეხლა მუშაობას მოვრჩით და ნაპირზე მივდივართ, თუ გინდათ წამოდით.

მე სიამოვნებით ვთანხმდები. წავედით კატერით.

— ჩვენ, კატერებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს გამართული, ძალიან აიწიეს ბიჭებმა, ერთ წუთს არ ვაცდენთ.

ლაპარაკში მეორე ჩაგვერია.

— თქვენ პატოცკი ნახეთ?

— არა. ვინ არის?

— მთავარი ინჟენერია. ბებერი. მთლად გათეთრებული. ინჟენრებს ხელით დაჰყავთ. ძალიან ჭკვიანი გოგრა კი აქვს. თუმცა ბრმაა, მაგრამ საქმეს ჩინებულად აკეთებს. მთელი ეს სამუშაოები მისი ხელმძღვანელობით სწარმოებს.

გავედით შუა ზღვაში. ტალღები კატერს აქეთ იქით ისვრიან. საუბარი ისევ პატოცკიზე გადავიდა.

— ძაან მათემატიკოსია. ამას წინად ინჟენრები რაღაცას ანგარიშობდნენ ქაღალდზე და ვერ ეანგარიშნათ. პატოცკი ცოტა ხანს დაფიქრდა და პასუხი უთხრა. ზუსტად. აი ეს ინჟენერია— აღტაცებით ამბობს ერთი მეზღვაური.

კატერი უცბად შეკრთა. მოტორის გუგუნის ქვეშ მე ვფიქრობ პატოცკიზე, ადამიანის გამბედაობაზე, რომელიც იმორჩილებს ზღვის სტიქიას, რომ გაანთავისუფლოს ნავთიანი ზღვის ფსკერი.

ჰორიზონტზე ჰქრება ილიჩის ბუხტის მოხაზულობანი, კოშკები იძირებიან ზღვაში, ქარი კი ზუზუნებს.

მარილიანი წინწკლები იყინებიან ტუჩებზე.

კატერი ნაპირს მიუახლოვდა.

## კრეკინგ

კასპის ზღვის ნაპირებთან, გარსშემორტყმული აუარებელი საკვამლე მილებით, სდგას კრეკინგ-ქარხანა. პატარა, ოროთახიან სახლში მოთავსებულია ქარხნის კანტორა და ლაბორატორია. უხმოთ დადიან ლაბორანტები პაწია შუშებით, რომელშიაც ასხია რაღაც მომწვანო სითხე, გამგე ქიმიკოსი გართულია რაღაც გამოკვლევებით, რომელსაც ახდენს რეტორტაში მოთავსებულ სითხეზე, სადღაც შიშინებს პრიმუსი, რაღაცა დუღს და ბუყბუყებს.

ინჟ. ჩირკინმა შემოგვთავაზა აეხსნა ჩვენთვის კრეკინგ-ქარხნის საიდუმლოებანი.

— ტეხნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში, გვეუბნება ის, ჩვენ ვდგევართ საწვავი მასალის ნაკლებობის საფრთხის წინაშე. მაგრამ კრეკინგ-ქარხნის შემწეობით ეს საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. კრეკინგ – ნიშნავს დაშლას, დაქუცმ ცებას. კრეკინგ-ქარხნის მნიშვნელობაზე ფაქტები თავის თავად ლაპარაკობენ. აი, მაგალითად: მაზუთი, რომელსაც გამოხდილი აქვს გასანათებელი პროდუქტი და ზეთები, რაც წინად სულ საწვავ მასალად მიდიოდა და რომელიც 20%-ზე კარგავდა თხიერებას და იყინებოდა, კრეკინგის საშუალებით იძლევა სულ სხვა შედეგს: მისი გაყინვის წერტილი ეცემა $20^0$-დან—$10^0$-მდე და ამასთანავე მისი თვისება, როგორც სათბობი მასალის, გაცილებით იზრდება. მთელი იმ მაზუთიდან, რომელიც შემოდის ქარხანაში 30% მუშავდება ე. წ. კრეკინგ-ბენზინათ, რომელსაც ჩვეულებრივ ბენზინთან ბევრი უპირატესობანი აქვს: ის ჩვეულებრივ ბენზინზე მსუბუქია და რაც მთავარა, მას აქვს მაქსიმალური შეკუმშვის თვისება და ამავე დროს არ იძლევა ხშირ აფეთქებას. ეს კი საშუალებას იძლევა, აგებულ იქნას პატარა ზომის მოტორები, რაც ასე მნიშვნელოვანია ავია-

ციაში. გაზს, რომელიც მუშავდება კრეკინგ-ქარხანაში, ორჯერ მეტი თბიერება აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ გაზს, და ბოლოს აქვს მუშავდება ერთგვარი ნივთიერება, ე. წ. „კრეკინგ-მონარჩენი“, რომელიც მაღალი ხარისხის სათბობ მასალას წარმოადგენს.

წავედით ქარხნისკენ. შორიდანვე ყურადღებას იქცევს მაღალი, თეთრი, განსაკუთრებული კონსტრუქციის კოლონები, რომლებიც ერთმანეთში გადახლართულან მილებით, ონკანებით და მაცივრებით.



კრეკინგ-ქარხანა

— ქარხანა გაყოფილია ორ სექციად, განაგრძობს ინჟ. ჩირკინი, და დღე-ღამეში შეუძლია გადაამუშავოს 15000 ფ. მაზუთი. ჩვენი ქარხანა, ახალი საქმეა და, რასაკვირველია, შეცდომებიც გვაქვს. სამი წელია სწარმოებს ცდები, აგება, გადაკეთება, მაგრამ, ცხადია, დახარჯული თანხები და ენერგია სავსებით გამართლებულია. გათვალისწინებულ შეცდომებზე იგება და შემოდგომაზე მუშაობას დაიწყებს მეორე კრეკინგ-ქარხანა, გროზნოში ცდების სტადიაშია მესამე კრეკინგ-ქარხანა, ხუთწლიანი გეგმით კი გათვალისწინებულია მთელ საბჭოთა კავშირში 65 ქარხანა აიგოს.

— მაზუთის გადამუშავება ხდება შემდეგი წესით: ის, ჯერ საქაჩავებით ჩადის მილებიან ღუმელში, სადაც მას ახურებენ 450°-მდე, შემდეგ გადადის სარეაქციო კამერაში, სადაც განიცდის 40—50 ატმოსფერის დაწოლას, შემდეგ —გასაფართოებელ კამერაში, სადაც იყოფა ორ ნაწილად, სითხეთ და გაზათ. თხელი ნაწილი ანუ კრეკინგ-მონარჩენი, მაცივრების საშუალებით იდევნება, ხოლო გაზი გადადის სარექტიფიკაციო კოლონაში, სადაც საბოლოოდ მუშავდება ბენზინად და გაზად, ძირში კი ე. წ. „ფლეგმად“, რომელსაც აქვს გაზოილის თვისება. მას ურევენ ან კრეკინგ-მონარჩენთან, რაც აუმჯობესებს უკანასკნელის სათბობ თვისებას ან ისევ მაზუთს, რომელსაც მეორეჯერ უკეთებენ კრეკინგს. ამ ოპერაციით იზრდება ბენზინის დებეტი სარექტიფიკაციო კოლონიდან ბენზინისა და გაზის ნარევი, მაცივრების საშუალებით, სეპარატორებში გადადის, სადაც ბენზინი გაზს ეყოფა. ყოველივე ეს ხდება ავტომატიურად.

საოპერატორო განყოფილების ერთ ნაწილში მოთავსებულია საქაჩავები, ხოლო მეორეში ორი საკონტროლო ფიცარი, რომელზედაც დადგმულია ათასგვარი მთვლელები, მექანიკური ძრიცხველები, საკონტროლო ხელსაწყოები. ეს არის მთელი ქარხნის მთავარი შტაბი, მისი გული.

ვბრუნდებით უკან ქარხანაში, მაგრამ ისევ ვერ ვხვდებით მუშებს. შევეკითხე ჩირკინს: „გყავთ თუ არა მუშები და მოსამსახურეები“?

მან ღიმილით მიპასუხა: „მუშები გვყავს და ყველა თავის სამუშაოზეა, ხოლო მოსამსახურეთა შტატი შესდგება სულ ხუთი კაცისაგან“.

მე უნდობლად უყურებ მას, მაგრამ მისი სახე სავსებით სერიოზულია.

უცბად აღრიალდნენ ქარხნის საყვირები, გახურებული ჰაერი ატოკდა ამ ღრიანცელისაგან.

— შაბაშ!

წყნარად ღელავს კასპი, ტალღების მწვანე არშია მოუთხრობს ყველას საკვირველ კრეკინგ-ქარხანაზე და იშვიათ ხალხზე, რომელიც იქ მუშაობს.

ირ. არაყიშვილი.

# საბჭოთა კავშირის ახალი არქიტექტურა

„ცენტროსოიუზის“ ახალი სახლის პროექტებიდან, რომლებიც წარდგენილია მსოფლიო კონკურსზე, განსაკუთრებით განირჩევა ფრანგ მხატვარ-არქიტექტორების, ლე კორბუზიეს და ჟენერტალის ესკიზი

თავის პროექტში ეს არქიტექტორები ფართედ იყენებენ ახალ საალმშენებლო მასალას — შუშას, რომელიც უკანასკნელ ხანში იკავებს საპატიო ადგილს მშენებლობაში.

მათი პროექტით გათვალისწინებული შენობა უმეტეს ნაწილად შესდგება შუშისაგან — ჯერ კიდევ გამოუყენებელი მასალისაგან. მისი მთავარი კორპუსები დადგმული იქნება ქუჩის ზედაპირზე აყვანილ საძირკველზე, ასე რომ შენობის ქვეშ შესაძლებელი იქნება ტრანსპორტის თავისუფალი მოძრაობა.



შენობის ძირითადი ნაწილი თავისი სხვა ნაგებობებით წარმოადგენენ წაქცეულ ლათინურ ასო L-ს, რომელიც დანიშნულია „ცენტროსოიუზი“-ს მუდმივი შტატის — 2500 მუშა-მოსამსახურის — სამუშაოთ.

ორი განაპირა ფლიგელის გარეთა კედლები აგებული იქნება შუშისაგან, მაშინ როცა შუა ფლიგელში შუშის კედლები იქნება შიდა მხრიდან, ასე რომ შუა ფლიგელი იქნება გამჭვირვალე და მისი სამუშაო ოთახები განათებული იქნება ყოველმხრივ.

ყველა დანარჩენი ნაგებობანი იქნებიან არა საწარმოო ხასიათისა. იქ მოთავსებული იქნება დასასვენებელი ოთახები, კლუბი, ბიბლიოთეკა, სასპორტო დარბაზი თეატრი წარმოდგენებისათვის და კინო-სეანსებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია აუარებელ ძაყურებელთათვის. თეატრის ორსართულიანი სახურავი წარმოადგენს სასპორტო მოედანს.



პიონერი კედლის გაზეთის რედაქტორი.



პიონერები გაზეთს კითხულობენ. სანიტარები.



პიონერი სიმინდის ტეხაში.



პიონერი რადიოსთან. პიონერი ხელოსანი.

ფოტო—პიონერების კვირიკაშვილის და დორეულის.

# ვ. მ. ფრიჩე

4 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მარქსისტული ლიტერატურათმეტყველების ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი ვ. მ. ფრიჩე.

ვ. ფრიჩე ლიტერატურულ მუშაობას იწყებს 1897 წელს. რუსეთის ლიტერატურაში ამ დროს გაბატონებული იყვნენ სიმბოლისტები, რომლებიც ხოტბას ასხამდენ ინდივიდუალიზმს, ცხოვრებისგან გაქცევას, უკიდურეს ესტეტიზმს, „ზეკაცებს“ და სხვ. ახალგაზრდა ვ. ფრიჩე იწყებს ბრძოლას სიმბოლისტების წინააღმდეგ. ის მაშინდელ პრესაში ათავსებს მთელ რიგ წერილებს, რომლებშიაც არკვევს სიმბოლიზმის ბუნებას და მის მნიშვნელობას.

ვ. ფრიჩე ამ ხანებშივე ხელს უწყობს ისეთი მწერლების პოპულიარიზაციას, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრებით, სოციალური საკითხებით არიან დაინტერესებული. ის ერთ-ერთი პირველთაგანი სწერს წერილებს ადა ნეგრის, კლარ ფიბიხის, უოლტ უიტმენის და სხვ. შესახებ.

1905 წ. ვ. ფრიჩე უკვე ბოლშევიკურ პარტიასთან არის დაკავშირებული მისი კალამი განუწყვეტლივ ენერგიულათ განაგრძობს მუშაობას ხელოვნების ფრონტზე. ცხრაას ხუთის შემდეგ რუსეთის ლიტერატურაში გამეფებულ დაცემულ განწყობილებებს, რომელთა წარმომადგენლებიც იყვენ ანდრეევი, არციბაშევი და სხვ., ვ. ფრიჩე თავის წერილებში სასტიკ ბრძოლებს უმართავს და ამხელს მათ რეაქციონურ ბუნებას.



ვ. ფრიჩე კუბოში

ვ. ფრიჩე ამავე ხანებში აქვეყნებს ორ წიგნს: „მხატვრული ლიტერატურა და კაპიტალიზმი“ და „ნარკვევები დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიიდან“.



იმპერიალისტური ომის პერიოდშიაც ვ. ფრიჩე მუშაობს ლიტერატურაში, აქვეყნებს ახალ შრომებს: „კოშმარებისა და საშინელებათა პოეზია“ „მოლიერი“, „ლ. ანდრეევი“ და სხვ.

ამგვარათ, ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ვ. ფრიჩე უდიდეს სამუშაოს ასრულებს, როგორც მარქსისტი ლიტერატურათმეტყველი.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ვ. ფრიჩე ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკაშიაც. ის ითვლება გარეშე საქმეთა კომისრათ მოსკოვის საბჭოსთან. შემდეგ მუშაობს მოსკოვის განათლების განყოფილებაში, პარტიულ კომიტეტში და სხვ.

ლიტერატურულ მუშაობასაც არ სტოვებს ვ. ფრიჩე უყურადღებოთ. სწერს: „ნარკვევებს ხელოვნების შესახებ“, „ხელოვნების სოციოლოგიას“, „მე-XX საუკუნის დასავლეთ ევროპის ლიტერატურას“, „შექსპირს“ და სხვ.

მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად ვ. ფრიჩე განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობასაც: იყო პროფესორი-ლექტორი მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელმძღვანელობდა ხელოვნების და ლიტერატურის სექციას კომუნისტურ აკადემიასთან, მისი მეთაურობით დაარსდა ლიტერატურის და ენის გამოკვლევის ინსტიტუტები, რომლის დირექტორათაც ითვლებოდა უკანასკნელ დრომდე. ეხლახან ის არჩეული იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრათ.

თავის ლიტერატურულ მუშაობაში ვ. ფრიჩე ორტოდოქსალური მარქსისტი იყო. მარქსისა და ენგელსის მოძღვრება მან საუცხოვოთ მოიხმარა ხელოვნების სფეროში.

ვ. ფრიჩე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც პროლეტარული ლიტერატურის იდეოლოგობა იკისრა. მისი წერილები გარკვეულათ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტო პოლიტიკური და ეკონომიური სიმაღლეების დაპყრობით, ის აგრეთვე იდეოლოგიის, კულტურის სფეროშიაც უნდა გაბატონდეს.

ვ. ფრიჩეს სახით მუშათა კლასმა დაჰკარგა დიდი მეცნიერი და მებრძოლი. მის საქმეს განაგრძობს ის ახალგაზრდობა, რომელთა აღზრდასაც მან მრავალი წლები შესწირა.

**შ. რადიანი**



**ამანულა-ხანი თავის ცოლით სორაიათი და შვილით ევროპაში მოგზაურობის დროს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კურორტები

## ბორჯომი

ბორჯომში საკურორტო სეზონი გახურებულია. მოაგარაკენი ჩამოსულან არა მარტო საქართველოდან, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.



ზოგი სამკურნალოდ ჩამოსულა, ზოგი დასასვენებლად.

ბორჯომის სახელი, როგორც პირველხარისხოვანი კურორტის, დაუჩრდილავი რჩება. მისი მთის ჰაერი ერთგვარად კარგად მოქმედობს, როგორც ავადმყოფებზე, ისე ჯანმრთელებზე, როგორც დიდზე, ისე პატარაზე.

ზაფხულის სეზონში ბორჯომის მკვიდრი მცხოვრებნი გათქვეფილნი არიან მოაგარაკეებში.

ოთახები ყველა გაქირავებულია და ვაჭრები და პანსიონატის პატრონები კმაყოფილნი არიან ხალხის ასეთი მოზღვავებით.

ლამაზი სანახავია ბორჯომი ღამით. პარკიდან სჩანს მთაზე სინათლის წერტილები, ეს „ცის ქვეშ“ მყოფ მოაგარაკეთა ბინებია განათებული, რომელნიც შეხიზნულან თვალუწვდენელ სიმაღლეზე, მთებში, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა და სადაც წიწვოვანი ტყე აფრქვევს განმკურნებელ სურნელს.

სალამოობით ბორჯომის პარკი სავსეა ხალხით. აქ იკრიბება მთელი ბორჯომი. პირველყოვლისა აქ მოდიან ევგენიევსკის და ეკატერინეს წყაროების დასალევად. ზოგი წყალს სვამს იმიტომ, რომ გასუქდეს, ზოგი იმიტომ, რომ გახდეს. აქვე შეხვდებით სანატორიუმიდან გამოჯანმრთელებულ ავადმყოფებს, რომლებიც განირჩევიან თავიანთი სპეციფიური ფერადი ტანსაცმელით. ყოველ სალამოს პარკში უკრავს ორკესტრი.

მაგრამ ბორჯომის პარკის მთელი სიმშვენიერე აქ კი არ არის, არამედ უფრო შორს, გოგირდის აბანოების და წყალვარდნილის იქით. ვინც არ დაიზარებს და გაივლის 2—2½ ვერსს, ის ნახავს იშვიათ სურათს ბორჯომის ხეობის სილამაზისას. მაგრამ, საუბედუროდ, ბუნების მოყვარულნი ძალიან ცოტანი არიან, აქ უფრო თვით პარკს ეტანებიან, სადაც წყაროები, მუსიკა და ხალხია.

აქვე პარკში მოთავსებულია ბორჯომის წყლების ჩამომსხმელი ქარხანა. ამ ქარხანაში ბორჯომის ბუნებრივი წყალი ისხმება ბოთლებში, რომელიც შემდეგ იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში: იგი უშვებს მილიონობით ბოთლ წყალს. ომის წინადროინდელ ნორმას დიდი ხანია გადააჭარბეს. ბორჯომის წყალმა მტკიცე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ბაზარზე. მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. შემოსავალი ბორჯომის წყალიდან — საქართველოს საკურორტო სამმართველოს ერთი მთავარი შემოსავალია, რომელიც ხმარდება ისევ კურორტების მოწყობას. ამ ქარხნის ზრდაშია საქართველოს კურორტების მომავალი. მთელი



ლიკანის სასახლე ბორჯომში

ქარხანა მექანიზაციაქმნილია საზღვარგარეთიდან შემოტანილ მანქანებით. ქარხანას სათავეში უდგანან გამოცდილი ტექნიკოსი და ქიმიკოსი. შემოღებულია კონვეიერის სისტემა, რომლის საშუალებითაც ცარიელი ბოთლების მთელი რიგი, სულ რამდენიმე წამის განმავლობაში ივსება წყლით და საცობ დახურული გადადის საწყობში უკვე გამზადებული ექსპორტისათვის. აქ მათ ალაგებენ ყუთებში და გზავნიან.

ქარხანასთან მოწყობილია ნახშირმჟავა გაზის წარმოება და საცობების ქარხანა, ასე რომ ქარხანა თვითონ იკმაყოფილებს ყოველივე თავის მოთხოვნილებას.

ბორჯომელი ხუმარები იტყვიან ხოლმე: „ბორჯომის წყალი ყოველივე ავადმყოფობას არჩენს, გარდა გულის ავადმყოფობისა და ჯიბის ჭლექისას“-ო.

და, მართლაც, ამ ხუმრობაში ბევრი სიმართლეა!

ა. ს.





ზევიდან ქვევით:—დასასვენებელი სახლი ვორონცოვის პლატოზე. ბორჯომი. ეკატერინეს წყაროები.

# ბატონობა პროვოკაციის საშუალებით

## (პალესტინის ამბების გამო).

დეპეშებს ყოველ-დღე მოაქვთ ცნობა სისხლისმღვრელი შეტაკების შესახებ, რომლებიც პალესტინაში ხდება ებრაელებსა და არაბებს შორის.

რა არის ამის მიზეზი? თუ ინგლისურ წყაროებს დაუჯერებთ სისხლის ღვრა სარწმუნოებრივი უთანხმოების, კერძოთ კი იმ ბრძოლის შედეგია, რომელიც „წმინდა“ ადგილებისათვის სწარმოებს მუსლიმანებს, ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის. შეიძლება ამ მტკიცებაში იყოს ჭეშმარიტების ნატამალი, შესაძლოა შეტაკების ს ა ბ ა ბ ა თ სარწმუნოებრივი ბრძოლა გახდა, მაგრამ ამ გარეგნულ მიზეზებს უკან უნდა ვეძიოთ უფრო ღრმა, ეკონომიური ხასიათის მიზეზები.



ინგლისის კრეისერი „ბარხამბ“, რომელიც გაიგზავნა პალესტინაში „წესიერების დასაცავად“.

საკმაოა გავეცნოთ პალესტინის ახლანდელ მდგომარეობას, რომ ნათელი შეიქნეს იქ დატრიალებულ ამბების ნამდვილი სურათი, ნათელი შეიქნეს, თუ რა საშინელი პროვაკაციის ქსელს აბამენ ინგლისელი იმპერიალისტები და ებრაელი ბურჟუა კაპიტალისტები.

ინგლისის იმპერიალიზმი დიდი ხანია ეპოტინებოდა პალესტინას, როგორც სუეცის არხის მოსაზღვრე ტერიტორიას. მკითხველმა იცის, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ არხს ინგლისის კოლონიალური ბატონობისა და მისი ვაჭრობისათვის. არხის ორივე მხარეზე დასაყრდენის ქონას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა აზია-აფრიკას შუა გადებულ ამ ხიდის დასაცავად.

იმპერიალისტური ომის დროს, არაბების გადმოსაბირებლათ თავის მხარეზე, ინგლისის იმპერიალისტები ცნობილ პოლკოვნიკ ლოურენსის პირით ათასგვარ დაპირებებს აძლევდნენ არაბთა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს და ამავე დროს მოლაპარაკება ჰქონდათ სიონიზმის ლიდერებთან პალესტინაში ებრაულ სახელმწიფოს მოწყობის შესახებ.

გათავდა ომი. არაბეთის ნაციონალური ლიდერები მოტყუებულნი დარჩნენ. არაბებით დასახლებული ტერიტორიები ინგლის-საფრანგეთმა გაიყო. ინგლისის მთავრობა სიონისტების ლიდერებისათვის მიცემულ დაპირებების შესასრულებლად შეუდგა პალესტინაში ებრაელთა „ნაციონალური კერის“ მოწყობას. ინგლისელ იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ „ეროვნულ სახელმწიფოს“ მოწყობისათვის მადლობის გრძნობით გამსჭვალული ებრაული მოსახლეობა მისი მტკიცე დასაყრდენი იქნებოდა არაბთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. არაბებს ართმევდნენ მიწას, ყოველმხრივ ავიწროებდნენ, ინგლისის კოლონიზატორული მიზნების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, არაბები დღესაც დიდ უმრავლესობას შეადგენენ პალესტინაში (600.000. არაბი, 100.000. ებრაელი). დროგამოშვებით ინგლისელი იმპერიალისტები აწყობდნენ პროვოკაციულ შეტაკებებს არაბებსა და ებრაელებს შორის, შემდეგ გამოდიოდნენ „გამზავებელის“, როლში და ამით „ამტკიცებდნენ“, რომ ინგლისის ჯარის ყოფნა პალესტინაში მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვის საწინდარია.

უკანასკნელი ამბებიც ამ ინგლისური პროვოკაციის შედეგია. ინგლისის იმპერიალიზმი ეგვიპტის მოსახლეობის განუწყვეტელი მღელვარებისა და გამოსვლების ზეგავლენით იძულებულია ერთგვარ დათმობებზე წავიდეს ეგვიპტის ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ შეასრულოს მრავალხელ მიცემული დაპირებები: ჯარი გაიყვანოს ეგვიპტიდან. მაგრამ მაკდონალდის მთავრობას, იმპერიალისტების ამ ერთგულ მსახურს, არ სურს ამ ჯარების შორს წაყვანა, მას სურს სადმე ეგვიპტიდან და სუეცის არხიდან ახლოს იყოლიოს იგი და ქოფაკივით უდარაჯოს ორივეს. ასეთი მოხერხებული ტერიტორია ჯარების დასაბანაკებლად—პალესტინაა. მაგრამ ჯარების ასე უსაფუძვლოდ გაძლიერება პალესტინაში უხერხულია „მუშათა“ მთავრობისათვის, რომელიც „დემოკრატიზმის“ ნიღაბით გამოდის. საჭიროა რაიმე საბაბი ჯარების გადასაყვანათ პალესტინაში. ინგლისის აგენტები მოხერხებულათ სარგებლობენ ებრაელთა და არაბთა სარწმუნოებრივი ანტაგონიზმით, იწვევენ შეტაკებას მათ შორის. საბაბი მზათ არის იმისათვის, რომ მაკდონალდმა გასცეს ბრძანება ჯარების გაგზავნის შესახებ პალესტინაში.

ამრიგად, მოხერხებით, რომელიც ჩემბერლენ-კერზონსაც კი შეშურდებოდა, მაკდონალდ-ჰენდერსონი, აკეთებენ ინგლისის იმპერიალისტების საქმეს. რა უყოთ მერე, რომ იღვრება სიონისტ ბანკირების მიერ მოტყუებულ მშრომელ ებრაელთა და არაბ გლეხების სისხლი! რას დაგიდევენ ამას „მუშათა“ მინისტრები, ინგლისის კაპიტალი ბრძანებს, ისინი ასრულებენ მის ბრძანებებს.

მაგრამ, როგორც უკანასკნელი დეპეშებიდან სჩანს, „მუშათა“ მთავრობა ანგარიშში მოსტყუვდა. მის მიერ გამოწვეული ხანძარი არც ისე ადვილი ჩასაქრობი აღმოჩნდა. დაწყებული არაბთა მოძრაობა გასცილდა სარწმუნოებრივი ანგარიშების გასწორების ფარგლებს და იერიშები მოაქვს თავის ნამდვილ მტერზე—ინგლისის იმპერიალიზმზე პალესტინაში. მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს. ის ლამის არის სირიის არაბებსაც მოედვას, აღმოსავლეთში ინთება ამბოხების ცეცხლი, რომელიც ჩქარა გადაბუგავს იმპერიალისტების ბატონობას, რაგინდ გამოქნილი მსახურები არ გამოუჩნდენ უკანასკნელს.



აჯანყებულ არაბთა რაზმი.

# ამიერ-კავკასიის მორწყვა



დიმი როკითის არხი

ამიერ-კავკასია, მიუხედავად თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა, განიცდის წყლის დიდ ნაკლებობას. ამიტომ არის, რომ მიწების დიდი რაოდენობა გამოუყენებელი რჩება. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მიწის ნაკლებობა წყლის განაწილების მოუწესრიგებლობის შედეგია. ამიტომ, ცხადია რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციას ამიერ-კავკასიაში.

ზოგიერთ ადგილებში, როგორც, მაგალითად, ფოთის რაიონი, წყალი არის, მაგრამ ეს წყალი დაგუბებულია და აჩენს ჭაობებს. ზოგან კიდევ პატარა რუები წვიმების დროს გადაიქცევა ვეებერთელა მდინარეებად და საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ნათესებისათვის, ისე მოსახლეობისათვის.

ამიტომ საჭირო იყო ამ წყლის „ხელში ჩაგდება“ რათა იგი დამორჩილებოდა ადამიანის გონებას და მოეტანა სარგებლობა. ამ ამოცანას ასრულებს საბჭოთა ხელისუფლება წყალთა მეურნეობის სამმართველოს სახით.

სწარმოებს ძველი კოლხიდის (ფოთის რაიონი) ჭაობიანი ადგილების ამოშრობა. ამ ამოშრობის მთავარი მნიშვნელობა გამოიხატება მალარიის მოსპობაში, რომლის ბუდესაც წარმოადგეს ჭაობი. გარდა ამისა ზოგიერთ ამოშრობილ რაიონებში შესაძლებელი ხდება მიწის გამოყენებაც. ამოშრობა ხდება ე. წ. „კალმატაციის“ წესით, ე. ი. ხელოვნურად ავსებენ ჭაობიან ადგილს, არხების საშუალებით, რომელშიაც უშვებენ შლამნარევ წყალს.

სწარმოებს აგრეთვე დიმ-როკითის და მრავალი სხვა არხების სამუშაოები და ახლო მომავალში აღარ დარჩება არც ერთი რაიონი, სადაც მიწა, უწყლობის გამო, გამოუყენებელი დარჩება. ისეთი რაიონების მორწყვის შემდეგ, როგორიცაა კახეთი, საქართველოს მეურნეობა აიწევს უფრო მაღლა და მისი ეკონომიური მდგომარეობაც განმტკიცდება.

მარტო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობა 1928 წელში შეფასებულია 3 მილიონ მანეთად. ამა წლის 2 მაისს გახსნილი მცირე-ყაბარდოს არხი დაჯდა 4 მილიონ მანეთამდე. ეს არხი მორწყავს 30.000 ჰექტარ მიწას, რომელიც აქამდე გვალვის გამო გამოუყენებელი რჩებოდა. მისი საერთო ქსელი 120 კილომეტრს აღემატება.

ასევე გრანდიოზულია შირაქის არხი სომხეთში, რომელიც ჩვენს მეურნეობას შემატებს რამოდენიმე ათას ჰექტარ მიწას.

რაც დრო გადის, მით უფრო წინ მიიწევს საბჭოთა მშენებლობა და უახლოეს ხანში არ დარჩება არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც არ მოგვცემს სარგებლობას.

ამ დიდ სამუშაოსათვის საჭიროა, როგორც ფინანსიური დახმარება ცენტრიდან, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმა, და მაშინ მას ბრწყინვალე შედეგი მოელის.



არხი „მაშველი“. ბეტონის ნაგებობანი, რომელიც იცავს ნაპირებს წყლისაგან



ფოთის ჭაობების ამოშრობა. არხი, რომლის საშუალებითაც უშვებენ შლამნარევ წყალს



მიწის მთხრელი და ამწევი ონ... რომლის საშუალებითაც სთხრიან ...ხებს



ფოთის ჭაობების ამოშრობა

# პური კოოპერატივებს და არც ერთი ფუთი კერძო ჩარჩ-ვაჭრებს!
# ამით უზრუნველყოფილი იქნება პურის მარაგი!




ხაშურის რაიონში, სოფ. ოსიაურის არტელი პურს ლეწავს—სალეწი მანქანის საშუალებით, რომელიც 8 საათის განმავლობაში 500 ფუთს გალეწილ ხორბალს იძლევა.



ხაშურის რაიონში, სურამის თემის სოფლებიდან გლეხობა საზეიმოდ აბარებს ხორბალს ხაშურის სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციას—თავისუფალ დამზადების წესით.

# სასტიკი ბრძოლა კულაკებს და სპეკულიანტებს უტყუარი თავ-დებია ხორბლეულის ჩაბარების წარმატებით ჩასატარებლად!



ხაშურის რაიონში კოლექტიური მეურნეობები აბარებენ კონტრაქტაციით გათვალისწინებულ ხორბალს სას.-სამ. კოოპერაციას (ჩაბარებულ იქნა სულ 1.800 ფუთი).



ხაშურის რაიონში, სოფ. ოსიაურის გლეხები, რომლებიც კოლექტივის გარეთ არიან, პურს ლეწენ კალოზე, სადაც 30 ფუთის გალეწვას დილიდან საღამომდის ორ უღელა ხარის ტრ ალი და რამოდენიმე კაცის შრომა სჭირდება.

## სოციალისტურ შეტე-ვის გზით

### (ხაშურის რაიონი)

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში ჩვენს რაიონში საგრძნობი მუშაობა სწარმოებს. 1928 წლის შემოდგომიდან რაიონში მოქმედებს ორი სას. სამეურნეო არტელი: სოფ. ოსიაურში და კლდის-წყაროში. ორივ არტელში გაერთიანებულია 60 მეურნეობა. აღსანიშნავია, რომ არტელებში მიწის მუშაობა სავსებით გადაყვანილია მაშინიზაციის საფუძველზე. ორივ არტელს აქვს შემდეგი მანქანები: სამი ტრაქტორი, სათიბი და სალეწი მანქანები.

არტელებმა წარსული სამეურნეო წელი დიდი მიღწევებით დაამთავრეს. მოსავალი დიდათ სჭარბობდა კერძო მეურნეთა მოსავალს თვითეულ ჰექტარის მიხედვით, რადგან მიწების დამუშავება უკეთესად და დროულად სწარმოებდა მანქანების საშუალებით.

გარდა მოსავლიანობის ზრდისა, აღსანიშნავია, რომ მანქანების შემწეობით გლეხკაცის შრომა დიდათ გაადვილდა და გამარტივდა. ასე მაგალითად; „კალოობა" ანუ პურის და ქერის გალეწვა მოითხოვს გლეხისაგან მძიმე და თავაუღებელ შრომას მთელ ზაფხულის განმავლობაში, მანქანამ კი ეს მძიმე საქმე სახალისო საქმედ აქცია. აი ეხლა თავისუფლდება ნამდვილად გლეხკაცი კოლექტივების საშუალებითო, სიხარულით ამბობენ მანქანის შემყურე გლეხები. ლტოლვა არტელებისაკენ გლეხობიდან დიდია. კერძო მეურნენი აგრო-კულტურულ ღონისძიებებს ითვისებენ არტელებიდან და ეს კი დიდათ უწყობს ხელს ჩამორჩენილ მეურნეობას წინსვლის საქმეში. ეხმარებიან ღარიბ გლეხობას მანქანებით. მეორე დარგი სოფლის მეურნეობაში გეგმიანობას შეტანის საქმეში ეს არის კონტრაქტაცია. დაკონტრაქტებულ იყო 290 ჰექტარი პურის ნათესი. გლეხობამ კონტრაქტაციის წესით ჩააბარა სამეურნეო კოოპერაციას 1300 ფუთი ხორბალი. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო თავისუფლად დამზადებას.

არტელებმა კონტრაქტაციით გათვალისწინებული 1, 100 ფუთი ხორბლის მაგიერ კოოპერაციას 2, 200 ფუთი ხორბალი ჩააბარეს და ამით დიდათ წაახალისეს მთელი გლეხობა.

სწარმოებს დიდი მუშაობა ჯიშიანი თესლის ფონდების შესაქმნელად, ამ მიზნით რაიონში მოეწყო 7 „წითელი ბეღელი".

ამ საქმეს ისე, როგორც არტელებს დიდ წინაღმდეგობას უწევენ კულაკები, ავრცელებენ ხმას: „რომ მთავრობა ცდილობს გლეხობას ზედმეტი პური ჩამოართვასო". სოციალისტური შეტევის გზაზე გლეხობის მშრომელი ფენები: მოჯამაგირეობა, ღარიბი და საშუალო გლეხობა მტკიცედ დარაზმული თავიდან იცილებს ძველ წესებს და მიიწევს წინ ახალ სოციალისტურ სოფლისაკენ.

მიხ. კუხ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკის ელექტროფიკაცია

## ტერმენოვოქსი

მუსიკალურ ხელსაწყოების ელექტროფიკაციის ცდები, ძველადაც სწარმოებდა. ამ ცდების მიზანი იყო მუსიკალური ხელსაწყოების გამოყენების გაადვილება.



ინჟ. ლ. ტერმენი თავის ხელსაწყოსთან

პირველი ელექტროფიკაციაქმნილი ხელსაწყო იყო უშველებელი არღანი, რომელშიც ჰაერი შედიოდა ელექტრონის საშუალებით, მაგრამ მისი ხმარება მეტად ძნელი იყო.

შემდეგ, დაახლოვებით, 1900 წ. ხმარებაში შემოვიდა ხელსაწყოები, რომელშიაც თვით ბგერა ელექტრომექანიკურად წარმოიშვებოდა. დაბოლოს, 1920 წელს, აწარმოებდნენ ცდებს ბგერის გადმოსაცემად რადიო-ტელეფონიის პრინციპით. სწორეთ ამ პრინციპზეა აგებული რადიო-კონცერტების გადაცემა.

ყველაზე თვალსაჩინო შედეგი ამ ცდების წარმოებაში მიიღო 1921 წ. ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერმა **ლ. ტერმენმა**, რომელმაც გამოიგონა ხელსაწყო ე. წ. „ტერმენოვოქსი“.

პრინციპი, რომელზედაც აგებულია ეს ხელსაწყო, წარმოადგენს კატოდის ლამფების მოქმედებას, რითაც მუსიკალური ბგერები უშუალოდ წარმოიშობიან ელექტრონის საშუალებით.

ამ გამოგონების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ცნობილია, რომ ბგერის წარმოსაშობად საჭიროა მაგარი სხეულის ქანაობა სიხშირით არა ნაკლებ 16-სა და არა უმეტეს 40.000-სა წამში. აქედან ადამიანის ყური შეიგრძნობს 30-დან —4000-მდე. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია ქანაობის სიხშირეზე.

აღებულია ორი ერთნაირი ელექტრო დადგმულება, რომლებიც ანვითარებენ დიდი სიხშირის ელექტრო ნაკადს. ამნაირათ მათ მიერ მოცემულ ნაკადს ექნება ქანაობის სიხშირის ერთნაირი რიცხვი. იმისათვის, რომ მივიღოთ ქანაობის რიცხვის განსხვავება, საკმარისია ერთ-ერთ დადგმულობას მიუახლოვოთ ხელი, ამგვარათ ქანაობის სიხშირის შეცვლასთან ერთად, იცვლება ბგერის სიმაღლე. ამ ხელსაწყოზე დაკვრის ხელოვნება გამოიხატება იმაში, თუ რამდენად ზუსტად ვამოძრავებთ ხელს ანტენის მიმართულებით, რომელიც დადგმულია მასზე. ამგვარად დამკვრელის მარჯვენა ხელი დადის ჰაერში, როგორც სიმზე. ხელსაწყო იმდენათ მგრძნობიარეა, რომ ხელის მდგომარეობის მცირედი შეცვლაც კი, თუნდაც ერთი მილიმეტრით, იწვევს ბგერის საგრძნობ შეცვლას. ხელსაწყოს მეორე შესანიშნავი თვისება გამოიხატება იმაში, რომ მეორე ხელის მოძრაობით, რომელიც მდებარეობს მეორე, რგვალი ანტენის ზევიდან გაშლილ მდგომარეობაში, შეიძლება შეცვლილ იქნას ბგერის სიმძლავრე. ეს ორი თვისება საკმარისია იმისათვის, რომ ამ ხელსაწყოზე შესრულებულ იქნას ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოები. ამით აიხსნება ის დიდი წარმატება, რომელიც ამ ხელსაწყომ მოიპოვა ევროპასა და ამერიკაში.

მაგრამ ტერმენოვოქსი წარმოადგენს ერთ ხელსაწყოს. ეხლა კი მუშავდება აზრი ელექტროფიკაციაქმნილ ორკესტრის შესაქმნელად. ამ დარგში ბევრი გამოჩენილი კომპოზიტორი და მეცნიერი მუშაობს და, ალბად, ახლო მომავალში ჩვენ მოწმე შევიქნებით ასეთი ორკესტრისა.

დღეს დღეობით კი ის, რაც გაკეთებულია, უეჭველად დიდი მიღწევაა და მან უნდა ითამაშოს რევოლიუციის მამოძრავებლის როლი მუსიკაში. საჭიროა, რათა ფართე მასები გაეცნონ ამ მეტად საინტერესო ხელსაწყოს.

თ. მ—ლი.

# ამხ. პ. დვალისა და ს. ჯაფარიძის დაღუპვა



ამხ. პ. დვალი.



ს. ჯაფარიძე.

30 აგვისტოს პროფ. გ. ნიკოლაძის მიერ დ. მესტიიდან გამოგზავნილმა დეპეშამ გვაუწყა ამხ. პ. დვალისა და ს. ჯაფარიძის დაღუპვა.

25 აგვისტოს, გ. ნიკოლაძე, პ. დვალი და ს. ჯაფარიძე ადიოდნენ თეთნულდზე, წინ მიდიოდა ს. ჯაფარიძე, რომელიც ყინულში საფეხურებს სჭრიდა, მას მისდევდა პ. დვალი და გ. ნიკოლაძე. საკმაო მანძილის გავლის შემდეგ პ. დვალს ფეხი დაუცდა, ს. ჯაფარიძემ წერაქვი გაუყარა მუხლებს შუა, რათა გადაერჩინა გადავარდნისაგან, მაგრამ ვერ შესძლო. მაშინ ჯაფარიძემ ხელი წაავლო, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა და ორივენი გადაიჩეხნენ უფსკრულში.

ამხ. პიმენ სპირიდონის ძე დვალი დაიბადა 1883 წ. რაჭის მაზრაში, ღარიბ გლეხის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ის შედის საზღვაო სასწავლებელში. აქ ყოფნის დროს მან ინახულა აფრიკა. 1909 წ. ის მუშაობს ბაქოში, ნავთის სარეწაოებზე, მეტაბელეთ. პარტიაში შევიდა 1905 წ. 1912 წ. ის მსახურობს თბილისში, საბაჟოში. 1919 წელს ის დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხში პარტიული მუშაობისათვის, სადაც დაჰყო 1920 წლამდე. 1923 წ. ის რაჭა-ლეჩხუმის მაზრების რევკომის, ხოლო შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარეა. 1927 წ. პარტხელმძღვანელი და აღმასკომის თავმჯდომარეა ზემო-სვანეთში. უკანასკნელად ამხ. პ. დვალი მუშაობდა ს. მ. უ. ს. სამხედრო-სამრეწველო განყოფილების უფროსად. ამხ. დვალს აქვს ლიტერატურული შრომა სვანეთზე, რომელსაც ის კარგად იცნობდა. ამ რამდენიმე ხნის წინად მან დასწერა კინო-სცენარი „მთების შურისძიება“, სადაც ასახულია სვანეთის გლეხობის აჯანყება.

სიმონ ჯაფარიძე დაიბადა დასავლეთ საქართველოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. უკანასკნელ ხანს იგი ითვლებოდა საჴ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამთო დარგის მე-5 კურსის სტუდენტათ და მსახურობდა ს. მ. უ. ს. სამთო ქიმიურ ტრესტში. ამავე დროს ის იყო საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის ალპინისტური განყოფილების ერთი აქტიური წევრთაგანი. მისი მეთაურობით და მონაწილეობით რამდენჯერმე იქნა მოწყობილი ყაზბეგზე ასვლა. 1927 წ. ნოემბერში პირველად მოაწყო ყაზბეგზე ზამთარში ასვლა,

# სპორტის გავლენა ფილტვებზე

იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც სწორედ სუნთქავდეს. არის სუნთქვის 4 სახე, პირველი სახე—როდესაც სუნთქვის დროს მოძრაობაშია გულის ფიცარის ქვედა გვერდის ნაწილი ე. წ. სუნთქვა დიაფრაგმით (დიაფრაგმა—აპკი, რომელიც აშორებს გულის და მუცლის არეს), მეორე სახე—როდესაც სუნთქვა ტალღისებურათ გადადის ქვედა ნაწილიდან ზედა ნაწილში, მესამე სახე—როდესაც ზედა ნეკნები ფართოვდებიან, და ბოლოს მეოთხე—როდესაც სუნთქვის დროს ფართოვდება ყველა ნეკნები. აი, ეს უკანასკნელია ყველაზე სწორი სახე, მაგრამ საუბედუროდ ასე ყველა არ სუნთქავს. ვინაიდან სუნთქვა მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის მოძრაობასთან, ამიტომ გასაგებია, რომ სწორი სუნთქვა საფუძველია ჯანმრთელობისათვის.

რა შეუძლია მოგვცეს სპორტმა ფილტვების გამაგრებისა და გაჯანსაღების საქმეში? ჩვენი ფილტვები შესდგება აუარებელ უჯრედებისაგან, რომელთაც აქვთ შეკუმშვის და გაფართოების თვისება. ამ თვისებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ უჯრედების კედლებში მდებარეობს ელასტიური, რეზინის მაგვარი ნივთიერება. ახლად დაბადებული მკვდარი ბავშის ფილტვები წყალში იძირება, რადგან მას ჯერ არ უსუნთქია. ადამიანის გაჩენის მომენტიდან, როგორც კი სასუნთქი ორგანოები იწყებენ მუშაობას, ასეთი ფილტვები წყალში უკვე აღარ იძირებიან, რადგან მისი ყოველი უჯრედი გაჟღენთილია ჰაერით. რომ ავიღოთ ჯანსაღი მოზრდილი ადამიანის ფილტვები და გავშალოთ ისე, რომ მისი ყველა უჯრედები ერთ სიბრტყეზე მოვაქციოთ, მისი ფართობი რამდენიმე ასეულ კვადრატულ კილომეტრს დაიკავებს. თუ მხედველობაში მივიღებთ ფილტვების ასეთ აგებულებას, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს სუნთქვის განვითარებისათვის, რადგან ყოველი სახის სპორტი, ცოტად თუ ბევრად, შეიცავს სუნთქვის ელემენტებს. ადამიანი მოსვენებულ მდგომარეობაში სუნთქავს ფილტვების ზედაპირის $1/7$ ნაწილით, მაშინ როცა ცოტაოდენი ჯაფის დროს იძულებულია მეტი ძალა დაატანოს მათ.

თუ კი ჩვენ ვავარჯიშებთ ჩვენ ფილტვებს, ე. ი. დროგამოშვებით წარუდგენთ მათ მეტ მოთხოვნილებებს, როგორც სუნთქვის ხანგრძლი-




**ფილტვების მოცულობა (კუბ. სანტ.) სხვადასხვა სახის სპორტის დროს. 1—ადამიანი, რომელიც არ ვარჯიშობს, 2—მძიმე ატლეტი, 3—ფეხბურთელი, 3—იარაღებზე მოვარჯიშე, 5—მსუბუქი ატლეტი, 6—მოკრივე, 7—მცურავი, 8—მენაოსნე.**

ვობით, ისე მუშაობის სიჩქარით (რბენა, ცურვა), მაშინ ისინი ეჩვევიან უფრო ღრმად და ხშირად სუნთქავს, ე. ი. ყოველი უჯრედი ივსება ჰაერით. ასეთი ვარჯიშის წყალობით, ფილტვების ზედა ნაწილები, რომლებიც ჩვეულებრივ არ მონაწილეობენ სუნთქვაში, იხარჩუნებენ მუშაობის უნარიანობას და ადიდებენ წინააღმდეგობას ტუბერკულიოზის ინფექციასთან. აი, რატომ არის, რომ ყოველგვარი სპორტი, რომელიც შეიცავს სუნთქვის სწორ სისტემას, წარმოადგენს ერთ მთავარ საშუალებას ტუბერკულიოზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რა სახის სპორტით შეიძლება მივაღწიოთ ფილტვების მაქსიმალურად განვითარებას? ამ საკითხით დაინტერესდა გერმანელი ექიმი ფორრინგენი. მან გამოიკვლია 4.000 სპორტსმენის ფილტვების მოცულობა (ფილტვების მოცულობა—მაქსიმალური ჰაერის რაოდენობა ღრმა ჩასუნთქვის დროს, რომელიც იზომება სპეციალური ხელსაწყოთი—სპირომეტრით), რომელნიც სხვადასხვა სახის სპორტით ვარჯიშობდნენ. ამ გამოკვლევის შედეგები ნათლად სჩანს ზემოდ მოყვანილ დიაგრამიდან. თურმე ყველაზე კარგ შედეგებს იძლევა ცურვა და ნაოსნობა. ასეთი სახის სპორტით მოვარჯიშეების ფილტვების მოცულობა უდრის 4900—5450 კუბ. სანტიმეტრს, რაც თითქმის ორჯერ მეტია ვიდრე იმ პირის, რომელიც არავითარი სპორტით არ ვარჯიშობს. კრივი და მსუბუქი ატლეტიკაც საგრძნობლად ადიდებენ ფილტვების მოცულობას, თუმცა ჩამორჩებიან ზემოდ მოყვანილ სახის სპორტს. ამ სახის სპორტის ერთი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ წყლის ზედაპირზე ჰაერში უფრო ნაკლები მტვერი და მიკროორგანიზმებია, ვიდრე მიწის ზედაპირზე.

აქედან დასკვნა. ყოველ ადამიანმა, რომელსაც არა აქვს ისეთი ავადმყოფობა, რომელიც ხელს შეუშლის ვარჯიშობას (აქტიური ტუბერკულიოზი, გულის სიგანიერე) უნდა ხელი მიჰყოს სპორტს. ცურვა და ნაოსნობა ერთი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების განვითარებისათვის, ჯანსაღი ფილტვები კი საფუძველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

მ. ი—ნი.

---

# ოსეთის პროლეტარული მწერალი

## სოზრიყო (სიკო) ყულაევი

ს. ყულაევი დაიბადა 1900 წ. ს. ჩოკაში, კავკასიონის ქედის მთავარ უღელტეხილთან.



იგი ღარიბი გლეხკაცის შვილია. 1909 წ. მიაბარეს გორის გიმნაზიაში, დაამთავრა 7 კლასი. 1918 წ. სამხრეთ ოსეთის პირველ აჯანყების დროს იგი გაიქცა გიმნაზიიდან და აჯანყებულებს შეუერთდა.

1917 წ. მონაწილეობას იღებს 1919 წ. აჯანყებისათვის სამზადისში, ხოლო 1921 წ. ერთი აქტიური მონაწილეთაგანია სამხრეთ ოსეთის გასაბჭოებისა, ხსენებულ ოლქის განადგურების დროს მენშევიკების მიერ გვარდიელებმა მოუკლეს დედა, თვითონ სოზრიყო გადაიხვეწა კავკავში და მოხალისედ ჩაეწერა წითელ არმიაში თეთრების საწინააღმდეგოდ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანია სამხრეთ ოსეთის კომკავშირისა. 1923 წ. საქართველოს კომპარტ. ცეკამ მოსკოვში გაგზავნა, სადაც დაამთავრა ეკონომიური დარგი ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. ამჟამად ყულაევი თავმჯდომარეა სამხრეთ-ოსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირისა, იმავე დროს რედაქტორობს სამხატვრო ჟურნალ „ფიდიოგს“ (მებუკე) და ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, რომელშიც შედიან ისეთი თვალსაჩინო ძალები, როგორიცაა ფარნიევი კოსტა, ბოლაევი, კამბერდიევი (სამთავე პროლეტ. მგოსნები), შემდეგ გადიევი პოეტი-პროზაიკოსი, ქოცოევი (პროზაიკოსი), კუბალოვი და ნიგერი—ლირიკოსები. ს. ყულაევი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1926 წ. იგი უმთავრესად ბელეტრისტია, ვიდრე პოეტი. მის კალამს ეკუთვნის საუცხოვო მოთხრობა „ფსან უაიგ“ (რკინის მდევ კაცი, რომელიც წარმოადგენს ჰიმნს ტრაქტორისადმი. მოთხრობაში მშვენივრად გაშლილია სოფლის წარმტაცი ლანდშაფტები და მძიმე ლაქებად ჩამოსხმული სოფლელთა უვიცობა, სიჯიუტე, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ტეხს „რკინის მდევ კაცის“ ძალა. ამავე მოთხრობაში მკაფიოდ გატარებულია კოლექტივიზაციის მთავარი აზრი, შემდეგ ტრადიციული დავა მამებსა და შვილებს შორის ყველა იმ საკითხების გადასაჭრელად, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ მთელი სიგრძე-სიგანით წამოუყენა მათ. ასეთივე თვალსაჩინო მოთხრობაა „იუ-ძონგონ“ (ცალხელა)—სურათი გასაბჭოებისთვის გადახდილ ბრძოლებიდან, შემდეგ „ნოგ ფანდაგ„ (ახალი გზა), „ნომილუს“ (უკანონო ცოლი) და მრავალი სხვა. „თოთრაჯა“ ეს პირველი ცდაა ყულაევისა პოეზიის სფეროში. კილო ხალხური აილო. დაბეჭდილია ჟურნალი „ფიდიოგში“. ყულაევი უმახლობელი თანამშრომელია ჩრდილო ოსეთის ლიტ. ჟურნალ Ziu-სი.

დ. კ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალჯომარდობის სრ. საქართ-

წერილი გრ. ბათომელის,

საზღვაო სპორტისათვის საქართველოში საუკეთესო პირობებია. მაგრამ ჩვენი ხალხი არ იცნობს ფიზკულტურის ამ დარგს. წყალჯოძარდობა ჩვენში ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ პოპულიარული. რუსეთში ვერ ნახავთ ისეთ ქალაქს, რომელსაც პატარა მდინარე ქონდეს და იქ საბანაო აუზი არ იყოს მოწყობილი. პროლეტარულ ცენტრებში კი დახურული აუზებიცაა, სადაც ზამთარზაფხულ სწარმოებს ვარჯიში. ჩვენში კი ეხლა ფიქრობენ აუზებზე და საწყლო სადგურებზე, ფიქრობენ თვით ფიზკულტურელები. ხოლო ის ორგანიზაციები, რომელთა ხელში სათანადო სახსრებია, ჯერ შორიდან უვლიან ზღვას, მდინარეებს და, როცა აუზებზე ჩამოვარდება საუბარი, სიტყვას ბანზე ისვრიან.



ამხ. ასამბაძე, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი ქალთა შეჯიბრებაში (ცურვა 100 მეტ. მანძილზე)



საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საწყლოსნო სადგური ბათომში დღესასწაულის დროს

ამ წერილის მიზანია საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება შეაჩეროს საწყლოს სპორტზე სრულიად საქართველოს მეორე წყალჯომარდულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

დღესასწაულში ასზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. საქართველოს ხუთმა ქალაქმა—თბილისმა, ბათომმა, სოხუმმა, ქუთაისმა და ფოთმა გამოგზავნეს თავისი საუკეთესო მცურავები, მონიჩბეები, წყლოსნები.

ჩვეხ ძლიერ გვაინტერესებდა ერთი საკითხი: როგორ ემზადებოდენ დღესასწაულისათვის ადგილები. მომზადება ორიგინალური იყო. გაზომილი დისტანციები არავის ქონია, რადგან აუზი არ აქვთ. თბილისელები მტკვარზე და ქუთაისელები რიონზე—გადასცურავდნენ ერთი ნაპირიდან მეორეზე. ეს იყო მათი სამზადისი. სასპორტო ნავი თვალით არ უნახავთ. წვრთნაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყველაზე უკეთეს პირობებში ისევ ბათომია. მას აქვს საკუთარი „კუთხე“ ზღვაზე. ამ ადგილს ეწოდება „საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საწყლო სადგური“. ფიზკულტურელთა თხოვნით აქვე ვათავსებთ ამ სადგურის სურათს. არსებითად ეს არის ქოხი' რუსები რომ იტყვიან „На курьих ножках“. ოდესღაც ეს ქოხი ბათომის ნავთსადგურის ლოცმანებს აუკოწიწებიათ. ყოველ ღელვის დროს იახტ-კლუბელებს გული უსკდებათ: ყოველ წამს ელიან, რომ „საქართველოს პროფსაბჭოს საწყლოსნო სადგურს“ ზღვის ტალღა აათამაშებს.



გემი „საქართველო“ საზეიმოთ მორთული წყალჯომარდულ დღესასწაულის დღეს



შეჯიბრი წყალმუშაობაში. ღელოს გატანა.

ბათომის იახტ-კლუბს აქვს ნავები, იალქნიანი იახტები, მოტორიანი კატერი, მაგრამ არ აქვს ადგილი მათ შესანახათ. ზღვაზე არ აღმოჩნდა ადგილი საწყლო სპორტისათვის.



წყალჯომარდობის სრულიად საქართველოს მეორე დღესასწაული. თვალყურს ადევნებენ შეჯიბრს.

# ველოს მესამე დღესასწაული

ფოტო—გრ. ნუცუბიძის.

მიუხედავათ ამ არახელსაყრელ პირობებისა, სრ. საქართველოს წყალჯომარდობის დღესასწაული დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა. თუ შარშან ქალაქებმა მხოლოდ ათ-ათი კაცი გამოგზავნეს, წელს ფიზკულტურელთა რაზმები უფრო ძლიერი იყო. თან შეჯიბრში ახალი ქალაქიც შეიჭრა—ქუთაისი. რატომ ვერ მიიღეს მონაწილეობა სხვა ქალაქებმა? სად არის ოზურგეთი, გორი, ჭიათურა, კახეთი? ყველგან არის მდინარე, ყველგან შეიძლება აუზების გაკეთება. შეიძლება, მაგრამ ჩვენ პროფკავშირებს და ქალაქის საბჭოებს ჯერ ვერ მოუცლიათ წყლის სპორტისათვის. საჭიროება კი დიდია, ბათომის იახტ-კლუბ ა არა ერთი და ორი კვალიფიციური მეზღვაური მისცა შავი ზღვის ფლოტს.



ველოსიპედით გროზნოდან ბათომში.
გროზნოს სამი მუშა, რომლებიც საბჭოთა სისტემის ველოსიპედით ჩამოვიდენ ბათომში.

წყალჯომარდობის მეორე დღესა წაულზე პირველი ადგილი ბათომმა დაიკავა. ეს აიხსნება უკეთ დაყენებულ მომზადებით. არ შეიძლება არ აღინიშნოს სხვა ქალაქების მიღწევებიც. შარშანდელთან შედარებით ყველას ეტყობა წინსვლა. მომავალი წელი კიდევ უფრო საინტერესო იქნება. საჭიროა მხოლოდ სათანადო ორგანოების ამოძრავება, პირველ რიგში კი—საქართველოს პროფსაბჭომ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. ამხ. ბ. მაჩაიძე დაესწრო წყალჯომარდობის დღესასწაულს.



ბათომის იახტ-კლუბის იალქნოსანი. შეჯიბრის დასრულებისას ფიზკულტურელები სეირნობენ ზღვაზე

მან დაინახა ფიზკულტურლების დიდი ხალისი და მონდომება, ზღვა ხალხი, რომელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შეჯიბრს, დაინახა აგრეთვე ის უბადრუკი მდგომარეობა, რომელშიც უხდებათ მუშაობა საწყლოსნო სპორტის მოყვარულებს. ამხ. მაჩაიძემ აღნიშნა, რომ მომავალ წელს წყალჯომარდობის დარგში გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს, ვიდრე დღემდე კეთდებოდა.



ბათომელი მენაოსნენი, რომელთაც შეჯიბრში მეორე ადგილი დაიჭირეს.



თბილისელ წყალბურთელთა გუნდი შეჯიბრზე.



თბილისის კომანდა შეჯიბრზე.



„გრაფ ცეპპელინმა“ შემოიფრინა მთელი მსოფლიო. დირიჟაბლის მოცულობა 105,000 კუბ. მეტ. საათში გადის 117 კილომეტრს. სურათზე ნაჩვენებია საბჭოთა კავშირზე გადაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჯამეთის საცდელ-საჩვენებელი სადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. ფურცხვანიძე

აჯამეთის საცდელ სადგურის განკარგულებაში სულ 173 კ. ჰექტარი მიწა.

ეს გაშლილი ვაკე მინდორი რამდენიმე წლის წინად ეკუთვნოდა მდიდარ ონანოვს, აქ გადაჭიმული იყო ვიწრო ლიანდაგი, რომელზედაც მისრიალებდენ პატარა შეშით დატვირთული ვაგონები და რამოდენიმე ასეული მუშების ოფლი იღვრებოდა ამ სამუშაოსათვის.

საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდა დაახლოვებით 1 წლის განმავლობაში.

სწარმოებს გამოკვლევითი მუშაობა სხვადასხვა დარგებში.

1926 წელს სადგურში იყო მხოლოდ 3 აგრონომი 1928/29 წლებში კი 12 აგრონომია.

პრაქტიკანტები, როგორც დირექტორი აღნიშნავს, ძლიერ ენერგიულად მუშაობენ.

გლეხები ნელ-ნელა ხვდებიან თუ რას ნიშნავს მათთვის საცდელი სადგური.

აქ ასწავლიან თესლის შეფარდებას ნიადაგთან. წინაჲ გლეხი უანგარიშოთ სთესავდა რომელიმე თესლს, დღეს იმას სთესავს რასაც მიწის ნიადაგი შეიფერებს, გარდა ამისა სადგური გლეხებს ეხმარება მანქანებით და ტრაქტორებით.

ფოტო-შ. ფურცხვანიძის



1. ახალგ. აგრონომი იკვლევს მცენარის ავადმყოფობას.

2. ახლად აშენებული სალორე.

3. იორკშირის ჯიშის ღორი „ფრანტი".

4. წამლავს ვენახს.

5. კრავენ ძნებს.

6 ახლად აშენებული სახლი სადგურის სალაბორატორიო სამუშაოთათვის.

7. კვალების გაყვანა.

8. პურის მკა.

ნადგურდებოდა უზარმაზარი ტყე, რომელიც ეხლაც მოსჩანს მიდვრის ბოლოში.

1926 წლამდე ეს ადგილი იყო ცნობილი ქუთაისის საცდელი მინდვრის სახელწოდებით, ხოლო ამ წლიდან იგი გადადის მიწსახკომის განკარგულებაში, რომელმაც მაშინვე მიიღო სათანადო ზომები ამ მინდვრის საცდელ სადგურად გადაკეთებისათვის.

ახალგ. აგრონომები ხშირად უმართავენ გლეხობას მოხსენებას მეურნეობაზე, ასწავლიან მეურნეობის განვითარებას, მიწის დამუშავებას, და ჯიშიანი საქონლის მოვლა-მოშენებას. აგრონომების გარდა მოხსენებებს აკეთებენ ძველი კვალიფიციური მუშები, რომელნიც პრაქტიკულად გასცნობიან ამ საქმეს.

გლეხები ძლიერ კმაყოფილი არიან საცდელი სადგურით,

სადგური არკვევს ამა თუ იმ რაიონში რომელი კულტურის მოყვანა შეიძლება.

სადგურს ჰყავს ჯიშიანი სხვადასხვა საქონელი: ღორი, ძროხა, ქათამი და სხვა.

საცდელი სადგურის მუშაობა ჯერ კიდევ ახალია, მას დიდი მომავალი აქვს.

მიწსახკომი მომავლისათვის ამ სადგურს ალბათ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68

ი. ქურხული.

# გაულით ხევსურეთში

მთიელთა კულტურულ საზოგადოებამ ხევსურეთში გამგზავნა.

ჩემთან ახალგაზრდებიც იყვნენ. სულ თხუთმეტი სული. თან წითელი დროშაც წავიძღოლეთ. წავიღეთ გამხმარი პური, შაქარი, ბრინჯი, კონსერვები, პიესები, ვიოლინო, სტვირი და სალამური...

ისეთი თვალწარმტაცი, ლამაზი, ზღაპრული და ამასთანავე ველური ბუნებაა, რომ შიმშილიც დაგავიწყდება და სიკვდილიც. მეჭირა ხელში ფოტოგრაფიული აპარატი და გზა და გზა ვიღებდი სურათს. არ ვიცოდი რა გადამეღო. სულ 300-მდე პლასტინკა მქონდა. რომელი კუთხე, რომელი, მთა, რომელი ადგილი და რომელი სანახავი მომეთავსებინა ამ შუშებზე, როდესაც ყველა ფეხის გადადგმაზე სილამაზე იშლებოდა.

აქ რომ გზები იყოს, აქ რომ ავტომობილით შეიძლებოდეს სიარული, ადამიანი განა ზაფხულობით ამ ბუნებას მოშორდებოდა? შვეიცარია სცხოვრობს ტურიზმით, განა ამ ტურიზმიდან ჩვენ ქვეყანას ცოტა შემოსავალი ექნებოდა? ყაზბეგის მყინვარზე რუსეთიდან მუდამ დღე ასობით მოდის ტურისტი სანახავად, თუმცა აქ არც გზებია გაყვანილი და არც საჭირო დასასვენებელი ქოხებია აგებული.

როგორც გავიგე, თბილისის ალმასკომს და მთიელთა საზოგადოებას უკვე გაუხსნია ქისა და ფშავხევსურეთში გზის გასაყვანად ფული ამოუღია. ამ დღეებში შეუდგებიან მუშაობასაც.

ხევსურები სთესვენ ქერს და სხვა არაფერს. ქერს აჭმევენ ცხენს, ქერს აჭმევენ ძროხას და ქერს სჭამენ თითონაც. ქერისგან ხდიან არაყსაც და ლუდსაც. წაღებული სანოვაგე სოფ. არხოტაში შემოგვაკლდა და უნდა გენახათ რა უბედურებაში ჩავცვივდით. რძე კი კარგი აქვთ. ამისთანა რძე შვეიცარიაშიაც კი არ დამილევია. ნოყიერი და გემრიელი. თურმე ხევსურეთის ძროხამ მსოფლიო შეჯიბრებაში მეორე ჯილდო მიიღო. ესეც მე აქ გავიგე, ხევსურეთში. და ამ მშვენიერი რძისაგან ხევსურები აკეთებენ კარაქს, ერბოს და ყველს. სხვა საჭმელი ხევსურებმა არ იციან. ქათამს არ აჭაჭანებენ. ეზოები არა აქვთ და მეზობელი არ მოვიმდუროთო. ღორს ერიდებიან, არ ეკარებიან. ან რა უნდა აჭამონ ღორს? რითი შეინახონ? ცხვარი იშვიათია და ისიც მოხევეებისაგან ყიდულობენ. ზამთარში ფარამ თავი სად უნდა შეაფაროს, როდესაც ზაფხულშიაც აქ ისე ცივა, რომ ტყაპუჭებს ატარებენ? ძველი რაინდობა, და-ძმობა, მამა-შვილობა, დიდ-პატარაობა, გმირობა, მიჯნურობა და რელიგია აქ ისევ შენარჩუნებულია.

ყველაზე გასაკვირველი აქ ის იყო, რომ ხალხში სიმღერა ვერ გავიგონე. წამოველ ხევსურეთიდან იმ შთაბეჭდილებით, თითქოს აქ არც მღერიან და არც ცეკვავენ. თუმცა გადაჭრით ამას ვერ ვიტყვი, რადგან საამისოდ დრო არ მქონდა კარგად დავკვირებიყავ.

ხევსურეთში შეშა არა აქვთ. შეშის ნაცვლად ხევსური წივასა სწვამს. ბევრგან ძროხების სათბოთიც სარგებლობენ. ერთადა სცხოვრობენ ზამთრობით.

გზა და სკოლა საჭიროა, რომ ჩვენი დაბეჩავებული ხევსურები ცხოვრების თანამედროვეზას დაადგეს.



ხევსური გოგო წყალზე

წარმოდგენებს ვდგამდით, ხალხს კონცერტებს უმართავდით.

ჟინვალში, მაღაროს კარში, ორ წყალში, ბარის ახოში, როსკოში, არხოტში, ჯუთაში, კარჩუკაში, სნოში, ყაზბეგში და კავკავში.

დუშეთამდის ავტომობილით ავედით, აქედან კი თვით ყაზბეგამდის სულ ფეხით ვიარეთ.



როშკოელი გოგო ჯარაზე მუშაობის დროს.



ჯუთელი ქალები მიდიან ტყეში.



მგზავრი ხევსურები ფშავეთის არაგვის პირას ნაყრდებიან.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ამხ. ფ. მახარაძე პიონერთა ჯგუფში.



ქალი მოტოციკლისტები მანევრებზე.



ბოტანიკურ ბაღის ერთ-ერთი კუთხე.



ამხ. შმიდტის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დომენის ცეხი.



პროვინციის დრამწრე.



ნახშირმჟავა გაზის ქარხანა ბორჯომში.

მთავლიტი № 1359 ტირაჟი 4.250 პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.